

ფლეს
ნომერშია

ოლიმპიადაში მონაწილეთა რიცხვი ყოველწლიურად მცირდება

საკონკურსო-
საატესტაციო
კომისიამ
რეკომენდაცია
გაუწია 2 გვ.

9 იანვრიდან 13 იანვრის ჩათვლით ხარაგაულის №2 და №3 საჯარო სკოლებში (დირექტორები ვალერი გომბაძე და მარინა ხვიციანი) ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტური მიმდინარეობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, უცხო ენებში, გეოგრაფიაში, ისტორიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია).



კოტე კულაშვილმა
ქურნალისტებს
ათწლიანი მუშაობის
ანბარში ჩააბარა 2 გვ.

ხარაგაულში ოლიმპიადის მიმდინარეობას გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი **მაია კიკნაძე** მეთვალყურეობდა.

საკრებულოს
წევრებს ხარჯის
ანაზღაურება
გაეზარდათ 3 გვ.

ვერტევიჭალის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ **ლელა სამხარაძის** თქმით, „სასწავლო ოლიმპიადები ხელს უწყობს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარის წარმოჩენას. ოლიმპიადისთვის მზადება მოსწავლისაგან მეტ მუშაობასა და კლასგარეშე ლიტერატურის ცოდნასაც მოითხოვს.“

რექტორი **ნატო შათირიშვილი** ამბობს, რომ „ოლიმპიადის მოსამზადებელი პერიოდია საატესტაციო გამოცდებისთვის. მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი ხდებიან, ეჩვენებენ გამოცდის სიტუაციას. მოსწავლეებმა მეტი უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ ოლიმპიადის მომზადებულები შეხვდნენ“.

ნადის ინფორმაციით, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის უკვე შედის წელია ტარდება და ყოველწლიურად იკლებს მასში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა. „წელს ოლიმპიადის მეორე ტური ხარაგაულში ძალიან მშვიდ გარემოში, ყოველგვარი დარღვევების გარეშე, ჩატარდა. შეინიშნებოდა მოსწავლეთა პასიურობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. მოსწავლეთა ყვე-

ლაზე მეტ რაოდენობას ველოდით ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თუმცა ოლიმპიადის მეორე ტურში გადასული 77 მოსწავლიდან არ გამოცხადდა 19 მოსწავლე. სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურის შედეგები ეროვნულ საგამოცდო ცენტრში მოსწავლეთა ნამუშევრების გასწავლების შემდეგ გახდება ცნობილი. **თამაზა გოგოლაძე**

რისი გაკეთება
დაიგეგმა 2015-
2017 წლებისთვის
ხარაგაულში 3 გვ.

ბორის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის **ვარლამ ბერიძის** აზრით, ოლიმპიადები მოსწავლეებისათვის ერთგვარი სტიმულია. „იმითმ ვმონაწილეობ ოლიმპიადებში, რომ გავიგო, რომელ საგანში მჭირდება მეტი მუშაობა საკუთარ თავზე.“

გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის **მაია კიკნაძის** თქმით, ოლიმპიადის დი-

მარელისა და საბეში ბიბლიოთეკები აღდგა

საკრებულოსა
და გამგეობაში
ხელშეწყობა
გაიზარდა 3-4 გვ.

ხარაგაულის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის, **ნიკოლოზ მაჭავარიანის** ინფორმაციით, უახლოეს ხანში მარელისა და საბეში სასოფლო ბიბლიოთეკების ფუნქციონირება აღდგება.

ანაზღაურების გარეშე ემსახურებოდნენ მსურველებს, უვლიდნენ წიგნად ფონდს და არაჩვეულებრივად შეინარჩუნეს. კარგ მდგომარეობაშია ბიბლიოთეკების შენობები, - ამბობს ნიკოლოზ მაჭავარიანი.

გამგეობასა და
საკრებულოში
შტაბები გაიზარდა 4 გვ.

„დაახლოებით ოცი წელია, რაც სასოფლო ბიბლიოთეკები დამსხვილდა და ადმინისტრაციულ ცენტრებში განთავსდა. საბისა და მარელისის მაცხოვრებლებმა წიგნადი ფონდი სარგვესა და ლელვანში არ გადაატანინეს. ამ ხნის განმავლობაში მარელისისა და საბის ბიბლიოთეკები - **ნაილი მაჭავარიანი** და **ლიანა ჟიჟიაძე** უსასყიდლოდ, ყოველგვარი

მისივე თქმით, 2015 წლის ბიუჯეტში ადგილობრივმა ხელისუფლებამ საიმისო სახსრები დაგეგმა, რომ მარელისა და საბეში ბიბლიოთეკები აღდგეს. ამჟამად მარელისისა და საბის ბიბლიოთეკებში ინვენტარიზაცია მიმდინარეობს, რომლის დასრულებისთანავე ბიბლიოთეკები ოფიციალურად შეუდგებიან საქმიანობას.

რას ამბობს ხალხი 5 გვ.

სასოფლო ბიბლიოთეკები ახალი წიგნებით შეივსო

ბანსხალეუბები 7-8 გვ.

სოფლის ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროექტის ფარგლებში - „წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ - ხარაგაულის სოფლების ბიბლიოთეკებში ათი ათასი ლარის წიგნები მიიღეს.

კიციის ორგანიზებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში თითოეულმა ბიბლიოთეკამ 500 ლარის ვაუჩერი მიიღო.

ხუმრობენ
ხარაგაულელები 8 გვ.

პროექტი საქართველოს პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებითა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასო-

ციის ორგანიზებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში თითოეულმა ბიბლიოთეკამ 500 ლარის ვაუჩერი მიიღო. ხარაგაულის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის, **ნიკოლოზ მაჭავარიანის** ინფორმაციით, სოფლის ბიბლიოთეკებში კატალოგიდან თავად აირჩიეს წიგნები.

კინოთეატრი კულტურის ცენტრს გადაეცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული კინოთეატრის შენობა ა(ა)იპ „კულტურის ცენტრს“ უსასყიდლო უზურდურეუქის წესით სამი თვის ვადით გადაეცა.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი ვაჭირვებაში“ იანვარში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში გამართავს საჯარო საინფორმაციო შეხვედრებს ადგილობრივ ფერმერებსა და აგრობიზნესის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე ვინცვეთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მცხოვრებ გამრჯე ფერმერებსა და მწარმეებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნით.

- 20 იანვარი - 12:00 საათი, სოფ. მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;
 - 15:00 სთ. სოფ. სალანძხლის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;
 - 21 იანვარი - 12:00 სთ. სოფ. კიცხის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა;
 - 15:00 სთ. დაბა ხარაგაული, მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზი;
 - 22 იანვარი - 12:00 სთ. ხევის საზოგადოებრივი ცენტრი, 15:00 სთ. ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.
- სოფლის მუშაობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საპრესულაციო სამსახური**

თვითონ ვირჩევ მომავალს

საკრებულოში ხელფასები გაიზარდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები გაიზარდა. ამის შესახებ დადგენილება საკრებულომ 5 იანვარს გამართულ მორიგ სხდომაზე მიიღო.

2015 წლის პირველი იანვრიდან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ხელფასი 1 700 ლარის ნაცვლად - 1 800 ლარი გახდა, კომისიებისა და ფრაქციის თავმჯდომარეების ანაზღაურება 1 350 ლარის ნაცვლად - 1 650 ლარი, საკრებულოს აპარატის უფროსის 1 000 ლარის ნაცვლად - 1 400 ლარი, საკრებულოს თავმჯდომარის თანამშრომლის 750 ლარის ნაცვლად - 1 100 ლარი, მთავარი სპეციალისტის ანაზღაურება 560 ლარის ნაცვლად - 700 ლარი, წამყვანი სპეციალისტის - 500 ლარის ნაცვლად - 650 ლარი, მძღოლის - 500 ლარის ნაცვლად - 700 ლარი.

აღსანიშნავია, რომ არ გაზარდა საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი პირადი მდივნის სახელფასო ანაზღაურება. საკრებულოს თავმჯდომარის ანაზღაურება 2 360 ლარია, მისი პირადი მდივნის - 500 ლარი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **პარლამ ქიკაშვილის** ინფორმაციით, კომისიამ იმსჯელა ამ საკითხზე და დაფიქსირდა განსხვავებული მოსაზრებები.

„საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მხრიდან იყო ფრთხილი პოზიცია აღნიშნულ საკითხზე. ამ პოზიციას მეც ვიზიარებ ნაწილობრივ, მაგრამ კომისიამ, საბოლოო ჯამში, ასე ჩათვალა საჭიროდ,“ - აღნიშნა ვარლამ ჭიკაშვილმა.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროს **ვლადიმერ გელაშვილის** განმარტებით, უმჯობესი იყო ეს ცვლილება 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე შესულიყო ძალაში.

„ამ ეტაპზე, შესაძლოა, ვერ გავცეთ მომეტებული თანხა. უნდა მოვიძიოთ შესაბამისი სახსრები და ცვლილება შევიტანოთ ბიუჯეტში. სხვაობას მიიღებთ მას შემდეგ, როცა გვექნება თანხით ამის შესაძლებლობა,“ - აღნიშნა ვლადიმერ გელაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე **ინგა**



მალრაძის თქმით, „განსხვავებული უნდა იყოს კომისიის თავმჯდომარეთა ხელფასები გამგეობის სამსახურების უფროსების ხელფასებისგან, თუმცა ვფიქრობ, რომ მეტი გონივ-

რულობა უნდა გამოგვეჩინა. ბიუჯეტი ახლახან მივიღეთ და, როგორც ჩანს, უახლოეს ხანში ცვლილებას განვახორციელებთ.“

„არასაპარლამენტო ოპოზიცი-

დან“ საკრებულოს წევრის, **რომან შერვაშიაშვილის**, თქმით, საბიუჯეტო ცვლილება ნებისმიერ დროს შეიძლება განხორციელდეს.

ნინო კაკაბაძე

ხარაგაულის საკრებულოს წევრებს ხარჯის ანაზღაურება გაეზარდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 5 იანვარს გამართულ სხდომაზე ცვლილება შეიტანა საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესში.

დადგენილების თანახმად, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღების, საკრებულოს დავალებების შესრულების, ამომრჩევლებთან შეხვედრისა და საკრებულოს წევრის სხვა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული

ცენტრიდან საკრებულოს წევრის ფაქტობრივ საცხოვრებლად დაშორების გათვალისწინებით და გაიყვანა შემდეგი ოდენობით:

დაბა ხარაგაულის, ბაზალეთის, ფარცხანის, საღაძილისა და ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ დეპუტატებზე 400 ლარის ოდენობით;

ლელვანის, მოლითის, ვახანის, კიციხის, ხიდარის, ვარძიასა და წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ დეპუტატებზე - 450 ლარის ოდენობით;

ბორთის, ხუნევის, ხევის, ნადაბურის, წიფის, ზვარეს, სარგვეშისა და ღორეშას ადმინისტრაციულ ერთე-

ულებში მცხოვრებ დეპუტატებზე - 500 ლარის ოდენობით.

დადგენილება ამოქმედდა 2015 წლის პირველი იანვრიდან. ამ დრომდე საკრებულოს წევრები (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა), ხარჯის სახით ზემოთ ჩამოთვლილზე 100-100 ლარით ნაკლებ თანხას იღებდნენ.

ეს საკითხი საკრებულოს წევრებს განსახილველად საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **პარლამ ქიკაშვილმა** წარუდგინა. მისი თქმით, ხარჯის გაზრდის მიზეზია ის, რომ დეპუტატებს თვეში 5-6-ჯერ უწევთ საკრებულოში კომისიის, ფრაქციისა და საკრებულოს სხდომებზე მოსვლა.

„კომისიამ ამ საკითხზე კონსულტაცია

გაიარა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან და გამგეობის მისი მტკიცებით, „რესურსი არსებობს და საბიუჯეტო ცვლილება ხარჯების მომატებას არ დასჭირდება.“

საკრებულოს აპარატის უფროსის, **ლენა კალანდიაშვილის** განმარტებით, 2015 წლის ბიუჯეტი არსებული ხარჯებით დამტკიცდა და საბიუჯეტო ცვლილება აუცილებელი იქნება.

დეპუტატ **რომან შერვაშიაშვილის** თქმით, „არც საბიუჯეტო ცვლილების განხორციელება არ არის პრობლემა. კომისიის თავმჯდომარე გვეუბნება, რომ არის საამისო რესურსი ბიუჯეტში. როცა აღარ იქნება რესურსი, მერე

შეიტანოთ ცვლილება.“

საკრებულოს წევრმა, **ქეთევან ჯუშუაშვილმა** ფრაქციის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სახელით განაცხადა, რომ ფრაქციის წევრები უარს ამბობენ ხარჯის გაზრდაზე. ხარჯის გაზრდის წინააღმდეგია კიციხის მაჟორიტარი დეპუტატი **ურბნა ბარბაქაძე**.

საკითხის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს თავმჯდომარე **ინგა მალრაძე**. მისი თქმით, „საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა ამ საკითხზე საკრებულოს სხდომის დაწყებამდე ჩატარდა და გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან არ იყო გავლილი.“

ნინო კაკაბაძე

რისი გაკეთება დაიგეგმა 2015-2017 წლებისთვის ხარაგაულოში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2015-2017 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა დაამტკიცა. გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს დაიგეგმა:

პიხინი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 800 ათ. ლარი. გზის მოსაფლავება 672 000 ლარია გათვალისწინებული, ხოლო 2.5 კმ-ზე სანიაღვრე არხის გასაკეთებლად - 95 ათ. ლარი. დაგეგმილია 22 ადგილზე ცხაურებისა და მილ-ხიდების მოწყობა, რაზედაც 33 ათ. ლარი უნდა გაიხარჯოს.

ზვარის ახალგაზრდული განათების პროექტი. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 300 ათ. ლარი. ჩაიღებება ხუთი ათსანოლიანი კოტეჯი, ერთი ადმინისტრაციული და ერთი სასადილო კოტეჯი. მონესრიგდება სანიტარულ-ჰიგიენური კუანძი, მოეწყობა ოთხი 600 მტრზე, ეზო და სათამაშო მოედანი, მოეწყობა ელექტრო და წყლის სისტემა.

ხარაგაულის-გაზალეთის გზის რეაბილიტაცია. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 600 ათ. ლარი. გზის მოსაფლავებაზე 510 ათ. ლარი, სანიაღვრე არხის მოწყობაზე 80 ათ. ლარი, ცხაურებისა და მილხიდებზე - 10 ათ. ლარის გახარჯვა იგეგმება.

დაბა ხარაგაულის რაიონული სასაბავშვო და სპორტული პარკის მოწყობა. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 450 ათ. ლარი. რეაბილიტაცია ჩაუტარდება 200 მ² ფართობის სცენას, შეიქმნება 100 ცალი კიდე, 500 ადამიანზე მოეწყობა სკამები, შეიქმნება პარკის ობიექტი 500 მტრზე, დაიდგება 25 ძელსკამი, მოეწყობა ბილიკები, გარე განათება, საბავშვო ატრაქციონები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ ფანტანს და სკვერს.

დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სასაბავშვო და მის მიმდებარე რეაბილიტაცია. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 100 ათ. ლარი. ამ პროექტის მიხედვით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 160 მ² სახურავს, გაილესება და გაილავება 520 მ² კედელი, მოეწყობა 250 მ² იატაკი, მეტლოპლასტმასის კარ-ფანჯრები, მოეწყობა ცენტრალური გათბობა.

მარაგების სისტემისათვის: მოეწყობა წყლის სათავე ნაგებობა, წყალშემკრები აგეზი, წყლის გამწმენდი ნაგებობა, ცენტრალური მაგისტრალი 3 კმ-ზე, 30 ტონა მოცულობის წყლის რეზერვუარი, ქსელი და გამრიცხველიანება.

რაკ შეეხება საავადმყოფოს მიმდებარე ინფრასტრუქტურას, დაიდგება 380 მ² გზის მოსაფლავება, 150 მ-ზე კანალიზაციის მოწყობა, მგზავრთა მოსაფლავების აგება, საავადმყოფოსათვის სამფაზიანი ელექტროკვებისა და გარე განათების გაკეთება. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 50 ათ. ლარი.

ხარაგაულის ცენტრალური პანორამის არსებული შენობის რეაბილიტაცია. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 100 ათ. ლარი. ამ პროექტის მიხედვით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 160 მ² სახურავს, გაილესება და გაილავება 520 მ² კედელი, მოეწყობა 250 მ² იატაკი, მეტლოპლასტმასის კარ-ფანჯრები, მოეწყობა ცენტრალური გათბობა.

ბულებია 1 200 000 ლარი. პროექტის ფარგლებში მოასფალტდება 20 ათ. მ² გზის ზედაპირი, მოწყობა სანიაღვრე არხი 2 300 მ-ზე, ცხაური და წყალგამტარი მილი 28 ადგილზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არსებული საჯარო მოსახლეობის ობიექტებზე მონაცემების შეგროვება. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 100 ათ. ლარი. მუნიციპალიტეტში არსებულ 28 ობიექტზე მონაცემების შეგროვება.

საღანძობოში საბავშვო ბაღის მოწყობა. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 150 ათ. ლარი. 20 მ² ფართობზე საბავშვო ბაღი 30 ბავშვისთვის აშენდება. მოწყობა ოთხი, ეზო, სათამაშო მოედანი, საკანალიზაციო სისტემა, ობიექტზე მიყვანენ წყალს 100 მეტრის მანძილიდან, ელენერგია 50 მეტრი მანძილიდან.

სუშუპი-გელაშვილის გზის რეაბილიტაცია. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 650 ათ. ლარი. ამ პროექტის მიხედვით, მოასფალტდება 11 ათ. მ² გზის ზედაპირი, მოეწყობა სანიაღვრე არხი 1800 გრძივ მტრზე,

ცხაური და წყალგამტარი მილები 12 ადგილზე.

შუპი პირებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის დასაქმების ხელშეწყობა. მოეწყობა 50 შუპი პირისთვის ადაპტირებული მცირე ზომის საწარმო. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 300 ათ. ლარი.

დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სასაბავშვო ბაღის მოსაფლავება. მოასფალტდება 4000 მ² გზა, მოეწყობა 300 გრძივი მეტრი კიუეტი, ცხაურები და მილხიდები - 18 ადგილზე. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 250 ათ. ლარი.

2017 წელს იგეგმება:
გაზალეთის-სარგვეშისა და მარაგების გზის რეაბილიტაცია (თითოეული მათგანზე სავარაუდო ერთი მილიონი ლარია გათვალისწინებული);
ვახანის გზის რეაბილიტაცია იგეგმება 650 ათ. ლარის ვახარჯვა;
ნადაბურის სასაბავშვო ბაღის მოწყობა, სავარაუდოდ, 150 ათ. ლარია გათვალისწინებული. ამ პროექტის ფარგლებში საბავშვო ბაღი აშენდება 30 ადამიანზე.

2016 წელს იგეგმება:
შუპი-გელაშვილის გზის რეაბილიტაცია. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 650 ათ. ლარი. ამ პროექტის მიხედვით, მოასფალტდება 11 ათ. მ² გზის ზედაპირი, მოეწყობა სანიაღვრე არხი 1800 გრძივ მტრზე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მხარი დაუჭირა გამგეობის თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდას. ეს საკითხი 29 დეკემბერს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, განიხილეს. ხელფასების გაზრდას, საკრებულოს უმცირესობის წევრების გარდა, არ დაეთანხმა საკრებულოს რამდენიმე წევრი უმრავლესობიდან.

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, **კახა შოლუხიანი**ს ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის გამგებლის ხელფასია - 2 650 ლარი. გამგებლის პირველი მოადგილის ანაზღაურება 1 300 ლარიდან 1 700

ვის ყველაფერი და აღმოჩნდა, რომ თურმე სკამებისთვის გვიბრძოლია. ინფრასტრუქტურულ პროექტებში 300 ათასი ლარია გათვალისწინებული და ამ დროს ვიმატებ ხელფასებს. მაღლობა იმ დეპუტატებს, ვინც დღეს უმრავლესობას წარმოადგენენ და პრინციპულად იყავენ პოზიციებს," - ამბობს თორნიკე ავალიშვილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელ **პოპა ლუსანაშვილის** განმარტებით, შტატებსა და ხელფასებს ხელფასებზე არ ზრდის. „ეს თავიდან ბოლომდე დათვლილი პოზიცია და არანაირი საფრთხე იმისა, რომ ჩვენი გადაწყვეტილება რომელიმე კანონ-

სამართლიანი გარემოს შექმნა. ჩვენი საქმიანობის შემფასებლები არიან ჩვენი ამომრჩევლები. ამიტომ იმის თქმა, რომ სხვა მუნიციპალიტეტში გაიზარდა ხელფასები, არ გამოგვადგება მაგალითად. მოგიწოდებთ, რომ შეეცვალოთ მიდგომა. კი ბატონო, ხელფასები ვაგზარდოთ, მაგრამ ეტაპობრივად, - ჩვენი საქმიანობის ვაუმჯობესების პარალელურად. ვაყოთ თვითკრიტიკულები. ბევრი რამის მოგვარება ვერ შევძელით. მომავალ წელს შევძლებთ? - შეგიძლია კონკრეტული პრობლემის მოგვარებისთანავე წავახალისოთ საჯარო მოხელეები," - აღნიშნა ინვა

გამგეობასა და საკრებულოში შტატები გაიზარდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 29 დეკემბრის სხდომაზე მხარი დაუჭირა გამგეობასა და საკრებულოში შტატების დამატებას.

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, კახა შოლუხიანის თქმით, საქართველოს პარლამენტისგან მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს დაამატოს 48 შტატი.

გამგეობამ საკრებულოს დასამტკიცებლად 42 შტატი წარუდგინა. ადმინისტრაციულ სამსახურში დაემატა თითო-თითო მთავარი და წამყვანი სპეციალისტი და ოცი უფროსი სპეციალისტი;

იურიდიულ განყოფილებაში - სპეციალისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი და ხევის საზოგადოებრივ ცენტრში მთავარი სპეციალისტი;

მედამხედველობისა და არქიტექტურის განყოფილებაში - უფროსი სპეციალისტი; აუდიტის სამსახურში - უფროსი სპეციალისტი; კულტურის სამსახურში - წამყვანი სპეციალისტი სპორტის საკითხებში, სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში;

ეკონომიკის სამსახურში - წამყვანი სპეციალისტი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის წამყვანი სპეციალისტი;

საფინანსო სამსახურში - ერთი უფროსი სპეციალისტი, სამხედრო აღრიცხვისა და განვების სამსახურში - ერთი მთავარი და ორი უფროსი სპეციალისტი;

ინფრასტრუქტურის სამსახურში - მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი;

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებაში - მთავარი სპეციალისტი;

საქმისწარმოების განყოფილებაში - უფროსი სპეციალისტი;

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურში - მთავარი სპეციალისტი.

გამგებელს ეყოლება მრჩეველი სოფლის მეურნეობის საკითხებში. კახა შოლუხიანის ინფორმაციით, ამ შტატებზე დასანიშნი საჯარო მოხელეები იანვარში კონკურსის წესით შეირჩევიან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაემატა ერთი შტატი - წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში და ერთი მთავარი სპეციალისტი ელექტრონული საქმისწარმოების საკითხებში.



რამდენად სრულდება ხარაგაულში საარჩევნო დაპირება - სოციალურად სამართლიანი გარემოს შექმნა

ლარამდე გაიზარდა, გამგებლის მოადგილეების - 1 300 ლარიდან 1 600 ლარამდე, გამგეობის სამსახურის უფროსების - 1 000 ლარიდან 1 400 ლარამდე.

გამგებლის წარმომადგენლების, გამგებლის თანამშრომლის, გამგებლის მრჩეველების გენდერულ და სოფლის მეურნეობის საკითხებში, განყოფილების უფროსების ყოველთვიური ანაზღაურება 1 100 ლარამდე გაიზარდა. მთავარი სპეციალისტის ანაზღაურება 560 ლარის ნაცვლად 700 ლარი გახდა; წამყვანი სპეციალისტის - 540 ლარის ნაცვლად - 650 ლარი.

უფროსი სპეციალისტის ანაზღაურება 600 ლარია, სპეციალისტის - 500 ლარი, გამგებლის მძღოლის - 700 ლარი, მძღოლის - 600 ლარი, მდივნის - 500 ლარი, კურიერის - 420 ლარი, დარჯისა და დამლაგებლის - 300-300 ლარი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **პარლან შივაშვილის** ინფორმაციით, კომისიამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს, თუმცა, მისივე თქმით, რიგმა დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს ამ პროექტს.

დეპუტატი **ლემური კალანდია**მ დაინტერესდა, ხელფასების მომატების შემთხვევაში რამდენით იზრდება სახელფასო ფონდიდან გასაცემი თანხა. მისივე თქმით, „ჯობდა კიდევ მეტი პროცენტი დაგვედო და მომავალი წლიდან გვესაუბრა ხელფასების ზრდაზე.“

დეპუტატმა **აპაი მაჭარაია**მ სხდომაზე იკითხა, კონკრეტულად რამდენი პროცენტით იზრდება ხელფასი თითოეულ სამშაბათო ერთეულზე. საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაჭარაძე**მ გამგებელს მიმართა, ეტევა თუ არა მომატებული ხელფასები დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრებში და ხომ არ აღემატება 25%-ს.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე **იოსებ კვიციანი**მ აღნიშნა, რომ მისი გამგებლობისას ოპოზიცია ბრალს დებდა შტატების მატებაში. „თურმე შტატები და ხელფასები მოსამატებელი ყოფილა. სხვანაირად უნდა გავგვეკეთებინა ხარაგაულელებისთვის

თან წინააღმდეგობაში იქნება, არ არსებობს. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტებიდან 3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. კვალიფიციური კადრები კონკურსით დიკავებენ ადგილებს; მათი კვალიფიკაცია და შრომა იქნება შესაბამისობაში შრომის ანაზღაურებასთან. საქართველოს მასშტაბით ხარაგაულში მიმდინარე პროცესები ყველგან ფასდება დადებითად. საკმაოდ შთამბეჭდავია ის პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტმა ბოლო ორი წლის მანძილზე განახორციელა. ეს აღემატება ბოლო 10 წლის მანძილზე განხორციელებულ პროექტებს, ერთად აღებულს. მიმაჩნია, რომ ეს ტემპი, რომელიც ავიღეთ, შენარჩუნდება.“

რაც შეეხება, ხელფასების პროცენტულ მატებას, ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წერილობით მოგაზნობდა ანალიზს, რა ხელფასები იყო თქვენი ხელფასების დროს, ახლა ვინ რა გრადიენტით მუშაობს და როგორ ხელფასებს იღებს," - აღნიშნა გამგებელმა.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაჭარაძე**მ თქმით, საჯარო მოხელეები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი, რადგან მათ წარმატებულ მუშაობაზე დამოკიდებული მუნიციპალიტეტის წარმატებაა. „როდესაც კოალიცია „ქართული ოცნება“ მოდიოდა ხელისუფლებაში, განერილი იყო საარჩევნო პროგრამა. ცვლილება, რასაც ადამიანები ელოდნენ, არ ითვალისწინებდა კონკრეტულ ჯგუფის პრივილეგიებულ და კომფორტულ მდგომარეობაში ჩაყენებას. ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, ესვამ შეკითხვას, რა შეიცვალა?! 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას ვიცოდით, რომ ხელფასების ზრდა იყო გათვალისწინებული, თუმცა იმ სხვაობით, როგორცაა აღმასრულებელი ხელისუფლებამ წარმოგვიდგინა, ჩემი აზრით, არაგონივრულია. დავინგარდნი სხვაობა და ხელმძღვანელ პირებზე 30-დან 40%-მდე იმატებს ხელფასის ოდენობა, ხოლო დაბალი თანამდებობის პირების - 10-დან 15%-მდე.“

საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი დაპირება სოციალურად

მალრამდე.

დეპუტატ **პარლან შივაშვილის** თქმით, „სახელფასო ანაზღაურების მატება ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება მუშაობს სუფთა ხელფასით. საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს მაღალი ანაზღაურება, რომ უფრო მეტი ენთუზიაზმით იმუშაოს ხალხის პრობლემების გადასაჭრელად. ხარაგაულის საჯარო სამსახურებში ძალიან კვალიფიციური ადამიანები მუშაობენ. მაღალი ხელფასი უნდა იყოს წამახალისებელი, რომ საჯარო მოხელე არ წავიდეს არასამთავრობო სექტორში. როდესაც სხვის გადადგმულ ნაბიჯებზე ვსაუბრობთ, საკუთარი გადადგმულ ნაბიჯებზე ვიფიქროთ. აღმასრულებელი ხელისუფლება ძალიან კარგად მუშაობს. იმერეთის და არა მარტო იმერეთის მასშტაბით დაიმსახურა მაღალი შეფასება, მაგრამ ამის დანახვა არ გინდათ.“

„მე, საღაძილის მაჟორიტარი დეპუტატი, დავით კვიციანი მხარს ვუჭერ ხელფასების ზრდას. იქ, სადაც მაღალი ხელფასები და ყველაფერი კომფორტი არსებობს, არის საქმის კეთების დიდი სურვილი. საჯარო მოხელეს ხელფასიც სჭირდება და მივლინებაც. მით უმეტეს, ხაზს ვუსვამთ, რომ ქვეყანაში ინფლაციია. მთავარია, კანონის ჩარჩოლში არ ამოვადეთ. საქმე მარტო ლაპარაკით არ კეთდება," - ამბობს დეპუტატი **ლემური კვიციანი**.

დეპუტატმა **ივანე აბაშიძე**მ აღნიშნა, რომ „გამგეობის წარმომადგენლებმა არგუმენტირებულად დასაბუთეს ხელფასების მატების აუცილებლობა. ამიტომ ჩავთვალე, რომ არ იყო ეს რაღაც მაქსიმალური ზღვარი და დავეთანხმე.“

დეპუტატ **ივანე კალანდია**მ თქმით, „აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პროექტი კანონის სრული დაცვით წარმოადგინა. ვამეხარება, რომ სოფლის მეურნეობის კუთხით მრჩეველი ეყოლება გამგებელს. ეს მნიშვნელოვანი თემაა. ბევრი რამ გავკეთებთ მომავალ წელს. მე მხარს ვუჭერ წარმოდგენილ პროექტს.“

დეპუტატმა **ივანე ლუსანაშვილი**მ აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ გაზო-

მთქმელი კრიტიკა მტრობად აღიქმება. „პირიქით, კარგია თქვენთვის მუდმივად ფიზიკური თვალის. ვალდებულა გვაქვს აღვებულოთ, რომ გავაკრიტიკოთ და ამას გავაკეთებ მუდმივად.“

საკრებულოს თავმჯდომარის, **ივანე მაჭარაძის**, მიერ გამოთქმული მოსაზრებას გამოეხმაურენ დეპუტატები და გამგებელი.

პარლან შივაშვილი: -თქვენ იკითხეთ, რა მოუტანა ხელისუფლებამ ხალხს. მე ვეკითხებით, თქვენს მიერ ათასი ლარი ღირებულების ბენზინის გახარჯვის შემდეგ რა სიკეთე მოუტანეთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. იქნებ გვითხრათ, წარმომადგენლობით ხარჯი გაჩერებულ მანქანებზე რატომ დახარჯეთ. თვალი გახილეთ და შეხედეთ კარგად, რა გააკეთა ხელისუფლებამ. ძალიან გვანტერესებს, პარლამენტში ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის ქონებრივი დეკლარაცია, - რამდენი მილიონ ორი წლის განმავლობაში შემოსავლები ხელფასის სახით, რა თანხა გახარჯა მივლინებებზე და ბუროს ხარჯში.

პარლან შივაშვილი: -ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა. თუ მათი სამუშაო არ იქნება პირდაპირპროპორციული მათ მიერ მიღებულ ანაზღაურებასთან, ამ შემთხვევაში უნდა დაესვათ კითხვები და გავპროტესტოთ. რაც შეეხება იმას, რომ გვაქვს არაერთი დაპირება მოსახლეობისადმი და რატომ ვფიქრობთ ხელფასების მომატებაზე, არაერთი დაპირება აქვს ბატონო ნოდარ ებანიძეს მოსახლეობის მიმართ. ვამაჩვენებ ამასწინათ ქრალში და მკითხეს, ქარხანა რომ უნდა დაემშენებოდა, სად არისო. ჩვენ პარლამენტარს სულ ვეღარ ვხედავთ. რას ვაკეთებთ ჩვენ, როცა სხვისკენ ვიშვრებ ხელს? იმას ვფიქრობთ, რომ ჩასაფრებულები ვართ, როგორ ვიპოვოთ ხელისუფლება. ბევრი მინახავს პოპულარული, მაგრამ არა რეიტინგული. ეს სხვადასხვა რამეა. ბოდიშს ვუხდით ბაზალეთის ამომრჩეველს, რომ ინვა მალრამდეს მხარი დაუჭირე საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. შევეცი და ამას მომავალში ვაეთვალისწინებ. თქვენ მაღალი ხელფასიც უნდა აიღოთ,

კომფორტული მანქანით ისარგებლოთ, კომფორტულად იცხოვროთ და თან ეძებოთ უარყოფითები.

-თუ არ მოგწონთ კურსი, რომელიც ხელისუფლება ატარებს, ხელს ნუ უშლით, - მიმართა საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაჭარაძეს**, გამგებელმა **პოპა ლუსანაშვილმა**, - თქვენი ყოველდღიური რამდენად არის შესაბამისობაში იმასთან, რასაც იღებთ. ხელისუფლებისადმი თქვენს დამოკიდებულებას ჯობია გადახედოთ. თუ ერთიანი ხელისუფლება, ან წინააღმდეგობაში ხართ ხელისუფლების კურსთან, შეგიძლიათ ვაუკაცური ნაბიჯი გადადგათ.

თქვენ თუ არ მოგწონთ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა, არც ვერ ვარ ალტერნატიული საკრებულოს მუშაობით. წესრიგს ვერ ამყარებთ სხდომაზე. ერთ-ერთი უსუსტესი სპიკერი ხართ. ამას, ალბათ, დეპუტატებიც გაიზიარებენ. დეპუტატების თვალთახედვიდან იყოთ ძლიერი, - ჯობია ამაზე იმუშაოთ და არა აღმასრულებელი ხელისუფლების კრიტიკაზე; რომლის ნაწილიც თქვენს მოქმედებით და არ ხართ ოპოზიციური ფლანგის წარმომადგენელი.

ძალიან კარგი სიტყვები გაქვთ თქვენ - ამომრჩეველი აფასებს, ვინ როგორ მუშაობსო. მივანდოთ ეს საკითხი ამომრჩეველს და მანამდე ერთმანეთს შევეჯიბროთ საქმის კეთებაში. ამომრჩეველმა შეაფასოს, როცა არჩევნები მოვა, - ვინ უკეთ გააკეთა რაიმე.

ივანე მაჭარაძე: -ტყუილია, რომ ხელისუფლების კურსს არ ვიზიარებ. მე არა ვარ ოპოზიციონერი, მაგრამ ვარკვეულ შემთხვევებში დაკავშირებით მაქვს ჩემი პოზიციები.

საკრებულოს წევრების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მაჟორიტარი დეპუტატის დიდი წვლილია იმაში, რაც ვაკეთებთ ხარაგაულში. საჯარო სამსახურში დასაქმებულს სჭირდება კიდევ სხვა პასუხისმგებლობა ხელფასთან ერთად და სხვა გულისხმიერება. საკრებულოს საქმიანობის წარმართვაში თუ რამეს არასწორად ვაკეთებ, იმსჯელოთ. მე ანგარიშით წარვდებთ თქვენს წინაშე.

ივანე მაჭარაძე

რას ამბობს ხალხი

გაგაჩიანასა და საპროპაგანდა ხელშეწყობის ზრდის, პრეზიდენტის განცხადებით და აპროპაგანდის სახარაო ადმინისტრაციისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაზე, გაგაჩიანის განცხადებით chkh.org გაგაჩიანისთვის.

შედეგად მოქალაქეებისთვის მისი განცხადება და სოციალურ ქსელში Facebook გაგაჩიანის რეაქციები კომენტარს:

მარინა გომილაძე: -ღმერთმა შეარგოს ყველა ხარაგაულელს გაზრდილი ხელფასები. ალალია მათზე ყველა სიკეთე. ჩემ თემურის ხარაგაულის კენჭიც კი უყვარდა... წინსვლა და წარმატებები ყველას.

პოპა ბერაძე: -„ბატო“, კორუფციას დედა აღარ ეყოლება! თუმცა მოსაპროცესო აღარაფერი დარჩება!

ზურაბ მაჭავარიანი: -თანამშრომლების მიმართ ასეთი ყურადღებებიანი და მზრუნველი გამგებელი ხარაგაულს ჯერ არ ჰყოლია. ჯერ თავი და თავი... ჯერ საკუთარ თავზე თუ არ იზრუნე, სხვაზე ვერ იზრუნებ. მერე რა, რომ ხარაგაულის ბიუჯეტი გამგებობის ბიუჯეტად გადაიქცა.

თაბო კვიციანი: -სკამები რას უშვებთ ამ ხალხს... მანამდე რომ ნიკვინებდნენ, არიქა, ქვეყანა გვექცევაო, დასხდნენ სკამებზე და მიეცნენ ლხენას. ახლა ამენებულა ქვეყანა? თქვენი ოცნება ასრულებულა, ბატონებო, მაგრამ ფრთხილად, ძალიანაც არ გაერთოთ ფულის თამაშით...

ზურაბ მკა: -ოცი თა ხდება ხარაგაულში? ოჯახებია, ასი ლარის შემოსავალი არ აქვთ და ესენი ათასებზე ლაპარაკობენ. ასე ვზრუნავთ საკუთარ მოსახლეობაზე... რას ვიზამთ, დრონი მეფობენ და არა მეფენი.

ლია ჯორჯაძე: -ხარაგაულის გამგებობის ჯიბი თუ წყვეტს სამხარეო ადმინისტრაციის პრობლემებს, მთავრობას რომ გადასცეთ ეს ჯაღონური ჯიბი, არ აჯობებს?! მაგას „ახევა“ ჰქვია, ძამია...

ისე, რა აზრები ყოფილა ეს პრემიის აღება...

დათო ბაღაშვილი: -არ უნდა გადასცეთ. ქეთაის უფრო სჭირდება მაღალი გამავლობის ჯიბი თუ ხარაგაულს, ეს რელიეფიდანაც ჩანს.

პოპა პურბანიძე: -დღეს ყველა სკამისთვის იბრძვის. თქვენ თუ კომფორტს შეიქმნით, მე არ შენეებება, მაგრამ გთხოვთ, ხალხი არ დაგავინყვოდეთ, - ვინც თქვენ ავირჩიათ. არჩევის შემდეგ რატომღაც გავინყვდებით ხოლმე ხალხი...

მანა შანიძე: -უსამართლობის წინააღმდეგ ვიბრძობი. არაფერი შეცვლილა ქვეყანაში, პირიქით... ვერაძელები ბრძოლას.

ნანი ბრეგვაძე: -მათი ხელფასის მომატებები მოსახლეობას რა მოემატა?

მარინა გომილაძე: -ამომრჩევლის აზრი აინტერესებს ვინმეს? გადაარეულია ხალხი სისხარულით, ამაზე ვოცნებობდით ზუსტად...

თორნიკე ბაგრატიონი: -ქალბატონო ინგა, კარგი ქალბატონი ხართ თქვენ, - მართალი და გულწრფელი. სამხუხაროდ, სხვებზე ვერ ვიტყვი იგივეს.

შორენა ბერაძე: -ახლა ზოგიერთების ოცნება. პრემიები - რაში? - ააყვავებს ხარაგაულს? კარგია, თუ ასე.

ცივი ბარბაქაძე: -მხოლოდ სხვისი ცხოვრებით რომ ცხოვრობთ, ხალხო, ყველას გაქვთ საშუალება იმუშაოთ. მგონი, არაფრისთვის ყოფილა შემოღებული გამოსაღების ჩასაბარებლად. ვინც ჩააბარებს და ავა მაღალ საფეხურზე, უნდა დაუფასოს კიდევ. არა მგონია, ხარაგაულს სალაპარაკო ჰქონდეს რაიმე, წინა წლებთან შედარებით. უბრალოდ, დანახვას არ ვინდათ კარგის, - სულ ვეა... ფიქრობთ, ცუდი როდის თქვან, რომ შემდეგ ყველა ერთხმად ახმაურდეთ. ვინმემ დახმარება სთხოვეთ და ყურადღება არაფერი მოგაქციათ? ვინმემ უზრდველად მოგმართათ? ვინმემ რაიმე წაგართვათ? თავის საქმეს პირნათლად ასრულებს ეს ხალხი და დამსახურებულად იღებენ ანაზღაურებას. ჯობია საკუთარ ჯიბში იყურო და ხურადები თვალი, ვიდრე სხვისი ჯიბისკენ გავირბოდეს თვალი.

შორენა ბერაძე: -ჯერ ხალხს

შეუსრულონ დანაპირები და მერე იფიქრონ ხელფასების ზრდაზე როგორც ზემოთ, ისე მუნიციპალიტეტის დონეზე. აბა, რას ვერჩოდით წინა ხელისუფლებას, მადა მათაც კარგი ჰქონდათ.

გივი ბარბაქაძე: -ყველაფერი გაკეთდება... არა მგონია, ერთ წელში ქვეყანა ყვაავდებოდეს.

შორენა ბერაძე: -რა ერთ წელში ვაპარაკი, სამ სოფელში ჩამოვიდვიარ ზაფხულობით და არც გზა მხვდება არსად, არც წყალი. ბუნებრივ გაზზე ხომ აღარც ვოცნებობ. ელემენტარული პირობები უნდა შეიქმნას, რომ ზაფხულობითაც არ დაიქალოს სოფლები.

რაც მეტი ხარაგაულელის ოჯახში შევა ზედმეტი ფული, ვინც მიცნობს, იცის, რომ არ შენეებება...

ვაქტიურობდი წინა ხელისუფლების დროს, ლამის რევოლუცია მოვუწყვე ავალიშვილს. ახლა თან მრცხვენია, ასე რომ გამანაზღოვებს ახლებმა, თან ვფიქრობ, - ახლა გამოსასწორებენ და დაიწყებენ მოქმედებას, ან ახლა... ამ ზაფხულს წყალი თუ არ დამხვდება და გზა საქართველზე, გადავდებ ვერღვემ მორიდებას.

თუ გინდ, ყოველთვე ვიზრდიან ხელფასები, მაგაზე არაფერი ვთქვა, მაგრამ რაც ხალხს დაპირდით, ნაწილი მაინც შეუსრულებთ... წინა გამგებლის სივრცე-სივრცე კი არავის დაუნუნია - სოფლებს არ აქვდა ყურადღება...

ხელფასის გაზრდითა და პრემიით სტიმული უნდა მისცე მას, ვინც საქმეს 100%-ით თუ არა, 60-ით მაინც აკეთებს. ხელისუფლების შეცვლის მერე სოფლებში არაფერი შეცვლილა, - ე. ი. არაფერი ვაკეთებულა. სტიმული ამ შემთხვევაში უკუქმედებას გამოიწვევს, - მაინც ავიღებ და რატომ ვაგვაკეთო?

ზურაბ მაჭავარიანი: -საქართველოში, ივროეთსა და ბორში მცხოვრებლებს ანუხებთ უგზობა. 30 წლის წინ დადიოდა ავტობუსი ხარაგაული-ივროეთის მიმართულებით. დღეს საქართველო- ივროეთი-ბორის გზის მონაკვეთი დამშრალი მდინარის კალაპოტს უფრო ჰგავს, ვიდრე სოფლის ცენტრალურ გზას.

მალხაზ კუპრაძე (საფრანგეთიდან): -უკუღმა ნუ ცდილობთ ჩარხის დაბრუნებას. ასე ნამდვილად არ ხდება ევროპაში, თუ დამიჯერებთ. აქ ხალხს თუ მოშივდა, ყველაფერი აზრს კარგავს. მაღ ხალხს შია.

ინგლისში ვიყავი სტუმრად. ავტობუსით ვიმგზავრეთ. ფერმებში, ნათესებს შორისაც კი ასფალტია დაგებული, დღის სულს ვფიცავარ. რა წყალზე და გაზზე, გზასა და კანალიზაციაზეა ლაპარაკი.

ალტერნატივაა გამოსაკვეთი! რა თქმა უნდა გუნდი, რომელიც გააფრთხილებს დაიწყებს ალტერნატივას! წინააღმდეგ შემთხვევაში ამომრჩევლი კიდევ უფრო ჩაიქნეს ხელს და არც ამომრჩევლის იმედი უნდა ჰქონდეს ვინმეს!

ძალიან მკაფიოდ ჩანს ბიუჯეტის ფულით საჯარო მოხელეების მოთაფვლის მცდელობა (წარმატებითაც), რათა თავის დროზე მათაც გადაიხადონ კონკრეტული ადამიანების მიმართ. ეს თვითმმართველობის რაში არგია? ხელფასი როდის და სად არის საკმარისი? ხარაგაულის მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაშია. ამას აქედან კიდევ უფრო ვხედავ. ძალიან ვწუხვარ.

მარინა გომილაძე: -საზოგადოებრივ ინტერესებში, თავის შენეება არავის უნდა. ადამიანების პირი რომ გამოვხატე, ცინიკური პასუხი მივიღე და მეც ხელი ჩავიქნე. ჩვენი ბრალია, - როგორ მთავრობებსაც ვიმსახურებთ, ისეთი გვყავს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – თავმჯდომარე **მარინა ბაგრატიონი** 5 იანვარს გამართულ საკრებულოს სხდომაზე კოლეგებს მიმართა. „ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ და დეპუტატებს მინდა ვკითხო რჩევა, როგორ მოვიქცე. თქვენს მეთოდში ჩემი ფრაქცია და იმის მიუხედავად, რომ კატეგორული მოთხოვნა დავაცენ იმ ადამიანის წინაშე, ვინც უნდა მოავადაროს ჩემი პრობლემა, საკითხი დღემდე მოუგვარებელია. მაქვს უამრავი საქმე და სამუშაო. სხვებისგან განსხვავებით, არ ვეძებ გაბრაზებულ და განწყენებულ ადამიანებს, ვეძებ გაჭირვებულ ადამიანებს, რომ მას დახმარება გავუწიო და ვიმუშაო. არ მაქვს სამუშაო პირობები, არ მაქვს ოთახი,“ - აღნიშნა დეპუტატმა.

საკითხი. სიტყვა აბსურდულს იმითი ეხმარება, რომ თუ რამე ამ ქვეყანაში გამჭვირვალე, სწორედ დეპუტატის ბიუროსთან დაკავშირებული თემებია. პირველი იმითი, რომ პარლამენტის აპარატი ბარდება ყოველკვარტალური და ყოველწლიური სრული დოკუმენტური მასალა, მათ შორის ყველა დოკუმენტის ასლი. ამასთან ხარჯების დიდი ნაწილი (ხელფასები, დარიცხვები) ინარჩუნება უშუალოდ პარლამენტის ცენტრალური აპარატისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხარჯები წარმომადგენლობითი ხარჯებია და მისი ხარჯვა განსხვავებული რეჟიმით ხდება (მაგალითად, როგორც გამგეობის წარმომადგენლობითი ხარჯები, მათ შორის სტუმრების გასტუმრების ხარჯები, რომლის ამსახველ დოკუმენტაციას მრავლად ნახავთ, ვთქვათ ასეთ ჩანაწერებს: „წინილი“, „ან, მწვადი



რას ითხოვს ფრაქციის თავმჯდომარე

მან საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა, რომ დღეიდან ის მის ოთახში დაიკავებს ადგილს და სხდომების ჩატარების დროს დიდი სიამოვნებით დაუთმობს.

„თქვენ რომ ყოფილიყავით ოთახის გარეშე, ხომ სასწრაფოდ მოავადარებდით ამ საკითხს. ხომ გარემონტდა სასწრაფოდ მაჟორიტარი დეპუტატის ოთახები, არანაკლებად არჩეული ვარ მეც და მჭირდება სამუშაო პირობები. მაჟორიტარ დეპუტატს ქეთაისშიც აქვს და აქაც ოთახები და მე ერთი ოთახი არ მეკუთვნის?“ - განაცხადა ვარლამ თავგზარაშვილმა.

საკრებულოს წევრმა „არასაპარლამენტო ოპოზიციიდან“ რომან შერგელაშვილმა ვარლამ თავგზარაშვილს მიმართა - „კოლექსიით პირდაპირ არის განწერილი, როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში.“

დეპუტატ ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ ოთახი დიდი ხანია დაკეტილია და ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ შეუძლია მისი გამოყენება. „ვეჭვობებ არ მონაწილეობენ, კომისიის სხდომაზე არ დადიან. ოპოზიციას რომ ვუცხამთ თავზე ხელს, დემოკრატიულად ვიცხოვროთ, კი ბატონო, მაგრამ ყველას ვვინდა თანაბარი პირობები,“ - აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მალრაძის თქმით, საკრებულოს ნამდვილად ესაჭიროება დამატებითი ფართი. მან მუნიციპალიტეტის გამგებელს მიმართა, რომ გამოათავისუფლოს მესამე სართულზე ის ორი ოთახი, სადაც გამგებლის სამსახური განთავსებულია.

მს ინფორმაცია 5 იანვარს „ჩემი ხარაგაული“ ვებგვერდზე www.chkh.org გამოქვეყნდა.

გთავაზობთ პარლამენტარ **ნოდარ პაპონიძის** განმარტებას, რომელიც ინტერნეტითაც გაფრცხლდა:

ძალიან ვწუხვარ, რომ განმარტება მინევის ისეთი პარალელური თემებზე, როგორცაა პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროს ხარჯები და ოფისით სარგებლობასთან დაკავშირებული

ლორის“ და ა.შ. თუმცა აქ ვერ დაადასტურებთ ეს ხარჯები მართლა ოფისი-ალურ სტუმრებზე, თუ ნაცნობ-მეგობრებზე და ასეთი თანხები მრავალი ათასი ლარია ხარაგაულის ბიუჯეტში). როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ბიუროს ხარჯები მუდმივად კონტროლდება. ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა პარლამენტს დეკემბრის ბოლო რიცხვებში ბიუჯეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს სახსრების ერთი წლის ხარჯის ანგარიში, რომელსაც გთავაზობთ გასაცნობად: 2014 წელს ხარაგაულის ბიუროსთვის პარლამენტის ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 60 000 ლარი, აქედან: ბიუროს თანამშრომლებისათვის გაყვებულმა სახელფასო თანხამ შეადგინა 28 020 ლარი 40 თეთრი. 2014 წელს ბიუროს ფუნქციონირებისათვის ჩარიცხული თანხაა 31 979 ლარი 60 თეთრი, საიდანაც ათვისებულია 28 149 ლარი 10 თეთრი. ათვისებული თანხაა - 5 637 ლარი და 24 თეთრი. 2013 წლიდან 2014 წელს გადმოყოფილი ნაშთი შეადგენს 1 806 ლარს 77 თეთრს.

ყველა მაჟორიტარს თანხა ამ ოდენობით გამოეყოფა და აქედან იფარება ყველა ხარჯი, მათ შორის ისეთიც, რაც არამაჟორიტარ წევრზე პარლამენტის აპარატის ხარჯებიდან იფარება (მაგალითად, თანამშრომლის ხელფასი, სასაუბრე ბარათები, საწვავის ხარჯი და სხვ.), რაც სოლიდური თანხაა და ბიუროს ხარჯებიდან ვადის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იანვრის ბოლომდე პარლამენტის აპარატს წარედგინება 2014 წლის მეთხუ კვარტლის ანგარიში და ნაწარმიები სრული დოკუმენტური მასალის ასლები. ამავე ვადაში წარედგენთ წლიურ ფინანსურ ანგარიშს. დამატებით მინდა ვაცნობოთ, რომ ცენტრალური აპარატი ყოველი წლის ბოლოს ახორციელებს ყველა ბიუროს ინვენტარბაზიას, რაც ხარაგაულის ბიუროში დეკემბერში დასრულდა, რის შედეგად რაიმე სხვაობა არ გამოვლენილა.

სრული კვარტალური და წლიური ანგარიშების შემდეგ ყველა ანგარიში გასაჯაროვდება (თუმცა იგი ახლაც საჯარო

როა და მოთხოვნის შემთხვევაში ყველას მიეწოდება) და განთავსდება ბიუროს ვებ-გვერდზე და მაჟორიტარი პარლამენტის წევრის facebook გვერდზე. უფრო მეტიც, ყველა დოკუმენტი დასაწინდება და იმავე მისამართზე იქნება განთავსებული. კარგი იქნება, თუკი მსგავსი ქმედება განხორციელდება გამგეობისა და საკრებულოს მსგავსი ფუნქციის ხარჯებთან (წარმომადგენლობითი ხარჯები) დაკავშირებით. ამასთან შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ბიუროსის მონიტორინგი განახორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიერ და შედეგები დიდიხანა ცენტრალურ და ადგილობრივ მედიებში.

რაც შეეხება ბიუროს ოფისს, ამაჟამად ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო სარგებლობს საქართველოს პარლამენტის აპარა-

ტისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შორის უზუფრეტის ხელშეკრულების საფუძველზე აღებული სამი სამუშაო ოთახით, რომლის საერთო ფართი შეადგენს 74.384 მ2 (ყოფილი სადაბო საბჭოს შენობა), რომლის მოსარგებლედ საქართველოს პარლამენტსა. ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო აღნიშნული ფართის ფლობამდე სარგებლობდა მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 4 სამუშაო ოთახით, რომლის საერთო ფართი შეადგენდა 102.8 მ2 ანუ, თითქმის 30 კვადრატული მეტრით მეტს. აღნიშნული ფართის შეცვლა განხორციელდა იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტი საჭიროებდა დამატებით ფართს და სწორედ გამგეობის ინტერესში იყო ასეთი ცვლილება. ალტერნატიულ ფართში გადასვლამდე, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ოთახები (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობაში მდებარე 4 ოთახი) ვარემონტდა და კეთილმოეწყო პარლამენტის მიერ გამოყოფილი თანხებით. უახლოეს ხანში სხვა დატვირთვაც მიეცემა მსგავსი ოფისებს, რადგან განსაზღვრულია კომიტეტების გასვლითი სხდომების ადგილებზე გამართვა. კვლავ იმეორებ, რომ მნიშვნელოვანია პარლამენტის ოფისების ადგილებზე გაძლიერება, რადგან ჩვენ საპარლამენტო მოდელის ქვეყანა ვართ და საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება პირველი რიგის ამოცანაა. ბევრმა იცის, რომ ადმინისტრაციულ შენობაში გამოყოფილი, ყველაზე დიდი ფართის ოთახში განთავსებული იყო საკითხველურად დარბაზი (რომელსაც ყველაზე ხშირად სწორედ მუნიციპალური სამსახურები იყენებდნენ) და ეს შეგნებულად გავაყვინეთ, რადგან კარგად ვგახსოვდა იმისა წლებში პრაქტიკა, როდესაც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს პრეზენტაციებისათვის ადგილის გამოყოფაზე ყველა უარით ისტუმრებდა. ეს ფართი არაა მაჟორიტარის პირადი საკუთრება და მისით შემდგომში კვლავ პარლამენტი და შესაბამისად შემდეგი მაჟორიტარი ისარგებლებს.

საიდან მოდის სილამაზე ანუ დოლო ჭიჭინაძე ხარაგაულში

ერთმა ფრიად განათლებულმა ახალგაზრდამ ჩემთან საუბარში განაცხადა, არ ვიცი ვინ იყო აკაკი ხორავა. შევცბი, ნუთუ ეს ბუმბერაზი მსახიობი, ვიორჯი სააკაძის, ოტელიოს (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) როლების შემსრულებელი არ უნდა ახსოვდეს თაობებს? თუ ასე განათლებულმა ახალგაზრდამ არ იცის, სხვებს რაღა მოეკითხებათ-მეთქი, გავიფიქრე უნებურად.

ჩვენი ვალია, ასეთი პიროვნებების სახელები, როგორც აკაკი ხორავა შემოვუწახით თაობებს. ჩვენც მოვიგონოთ და ახალგაზრდებსაც დავახსოვოთ.

ამჯერად ულამაზეს ქართველ მსახიობზე, საქართველოს სახალხო არტისტ დოლო ჭიჭინაძეზე მინდა ვიამბოთ. მასთან შეხვედრის ისტორია მასხენდება, ისეთი შთამბეჭდავი, რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც რომ არ გავიწყდება.

მოსწავლე ვიყავი. აფიშით შევიტყვე, რომ ხარაგაულში საგასტროლოდ მარჯანიშვილის თეატრი ჩამოდიოდა და რაც ყველაზე სასიხარულო იყო, მსახიობებს შორის იყო დოლო ჭიჭინაძე. მე და ჩემი მეგობრები არ ვიყავით განებივრებულები ცნობილი მსახიობების ხშირად სტუმრობით. უზომოდ გვიყვარდა ხელოვნება, სულ-მოუთქმელად ველოდით ახალ ფილმებს. უფროა - გავითვინებდნენ ჩვენთვის საყვარელი მსახიობების ფოტოებს ვჭრიდით და ალბომს ვაკეთებდით.

ეს მოლოდინი ნამდვილი ზეიმი იყო ჩემთვის. ხუმრობა ხომ არ იყო, თვითონ დოლო ჭიჭინაძე მოდიოდა. იგი უკვე ძალზე პოპულარული იყო, რომ არაფერი ვთქვათ მის სცენურ როლებზე, უკვე ნათამაშები ჰქონდა ფილმებში „დავით გურამიშვილი“, „ბედნიერი შეხვედრა“, „ჭიჭინა“. მრავალჯერ ვნახულობდით ამ



ფილმებს, იდეალს ვეძებდით მსახიობის მიერ შესრულებულ როლებში. მე და ჩემი მეგობრები იმ ასაკში ვიყავით, როცა გოგონა (აქვს თუ არა საამისო მონაცემები) მსახიობებზე ოცნებობს. წარმოდგინეთ ჩვენი განცდები.

და აი, ნანატრი დღეც მოახლოვდა. მთელი რაიონი ელოდა საყვარელ მსახიობებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის (მაშინდელი პიონერთა) სახლს მსახიობთან შეხვედრის თავისი გეგმა ჰქონდა. სპექტაკლის შემდეგ, მეორე დღეს, მოსწავლეთა დელეგაცია (რომლის შემადგენლობაში მეც ვიყავი) სასტუმროში ეწვეოდა დასს, სამასოვრო საჩუქრებს გადაეცემდით და სახელდახელო კონცერტს გვეუმართავდით.

დოლო ჭიჭინაძისთვის საჩუქრად ლამაზი წიგნი შევარჩიე და გულთბილი წარწერა გავუკეთე.

მე და ჩემმა მეგობრებმა შევიტყვეთ მსახიობების ჩამოსვლის დრო და სადგურისაკენ გავემართეთ. გზაში შეხვდით მომავალ მსახიობებს, მათ შორის ლაღად მოდიოდა დოლო, უცხრად საოცრება მოხდა, განათდა ქუჩა, ერთ

უთქმელი სილამაზე მონათებდა. დოლო ჭიჭინაძე მაშინ ძალზე ახალგაზრდა იყო.

ამდენი წელიწადი გავიდა და დღესაც კი მახსოვს, რა ეცვა. საოცრად უხდებოდა შავი ქურქი, თავზე კი ვარდისფერი თავსაფარი. ცნობილია დოლო ჭიჭინაძის სიყვარული შლაპებისადმი, რომლებსაც საოცრად იხდენდა მისი არისტოკრატიული გარეგნობა, მაგრამ მერწმუნეთ მას ყველაფერი უხდებოდა.

ალტაცებულებმა მსახიობები კულტურის სახლამდე მივაცილეთ. შორიხლოს მივყვებოდით, ახლოს მისვლა ვერ გავბედით მოკრძალების გამო.

ჩემი მოსწავლეობის წლებში საღამოს ღონისძიებებზე მოსწავლეებს არ უშვებდნენ და ამიტომ სპექტაკლი ვერ ვნახე. შევიტყვე, რომ დიდი წარმატებით ჩაიარა.

მეორე დღეს გაცივებული ვიყავი, დედამ სკოლაში არ გამიშვა. ესოდენ საოცნებო თავყრილობაზეც ვერ წავედი, ვერც წიგნი გადავეცი დოლო ჭიჭინაძეს.

მაგრამ შიი საოცრებაც, ოცნება დიდი ხნის შემდეგ მაინც ამიხდა. ქალბატონ დოლოს „მითვის წიგნი“ ვუსახსოვრე. ეს მოხდა ჩემი წიგნის წარდგინებაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში. იგი სიტყვითაც გამოვიდა. ამბიციურობაში არავინ ჩამომართვას, თუ მისი სიტყვის ტექსტსაც მოვიმეფელებ, რადგან ესეც ისტორიაა. „დღეს, როცა ახალგაზრდობამ სულიერი თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი დაკარგა, ასეთი წიგნი საოცრებაა. ჩვენი ქალების ყველა თაობას ზღოვდება იგი. თქვენ ჭეშმარიტად მოიხბადეთ ვალი ერის წინაშე (გაზეთი „თბილისი“, 16 ივნისი, 1998 წ.)

რას ვითვქვებდი, რომ წლების განმავლობაში, საყვარელი მსახიობის გვერდით, სხვებთან ერთად მეც ვიქნებოდი. საქართველოს



ქალთა საბჭოს წევრები ვიყავით და ხშირად დავდიოდით ბავშვთა სახლებში, დედათა მონასტრებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, საიუბილეო საღამოებზე, ლიტერატურულ კონკურსებზე და სხვა...

დოლო ჭიჭინაძე ყველგან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი მშვენიერებით, მგზნებარე გამოცხლებით. იგი დიდი პატრიოტი იყო, უზომოდ უყვარდა თავისი ერი და ქვეყანა, ვერ იტანდა უსამართლობას, ასეთ თემებზე საუბრის დროს იმდენად ემოციური იყო, ხშირად შემშინებია, გული არ გაუსკდეს-მეთქი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავად კითხულობდა ანზორ აბულაშვილის ლექსს „დაბადება“. თვალები ისეთი სინამთე უბრწყინავდა, რომ ეს უშელო ქალი ნამდვილი დედა ხდებოდა...

ურთიერთობაში იგი იყო საოცრად სადა, გულითადი, თავმდაბალი. იყო წლები, როცა ძალზე უჭირდა საქართველოს. ასევე უჭირდა მასაც, მაგრამ არ უყვარდა წუნწი, მაგრამ ერთხელ გულწრფელად თქვა, ერთადერთი შემორჩენილი ანტიკვარული ჭურჭელი გავყიდე, ჩემს ირგვლივ ბევრს უჭირს და ყველას ვუწილადეო. მიხვდით, როგორ უჭირდა მას და მაინც მოყვასზე ფიქრობდა.

და. ამხელა ხელოვანი უმწეო მტვომარეობაში არ უნდა იყოს მეთქი-გავიფიქრე და ვუთხარი: - ქალბატონო დოლო, უცხოეთში თქვენი დონის მსახიობები მილიონერები არიან. მან კი ის პასუხი გამეცა, რასაც ველოდი, რომ უცხოეთში ოქროს კომპეტი რომ აუგონ, სამშობლოში სიკვდილი ურჩევნია. ასეც იყო, თორემ რომ მოენდომებინა, მისი სილამაზის პატრონი ვერ წავიდოდა?

ცნობილია, რომ რომის პაპს მისი სურათი კვლევებში ეყიდა, როგორც სილამაზისა და ქალურობის სიმბოლო. ზოგიერთი ლამაზი ქალბატონი წლების შემდეგ ისე იცვლება, რომ ვეღაც იცნობს. საოცარია, დოლო ჭიჭინაძე სიცოცხლის ბოლომდე მშვენიერი დარჩა. იგი უფლის საჩუქარი იყო, ჩვენი გულეების გასანათლებლად და ცხოვრების გასამაზალებლად მოვლენილი.

დიდ გიორგი ლეონიძეს დავესხებები, საიდან მოდის სილამაზე?

ლინა ბარათაშვილი

პოეტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ხარაგაულის საპატია მოქალაქე

ფოტოგრაფი: დოლო ჭიჭინაძე; დოლო ჭიჭინაძე, ლიანა ასათიანი ლინა ბარათაშვილის „მითვის წიგნის“ წარდგინებაზე დამსწრეთა შორის.

მინდა ვიცოდე...

ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა (დირექტორი მაია ბლუაშვილი) მიმდინარე სასწავლო წელს ბევრი საინტერესო პროექტი განახორციელა. მათ შორის გამორჩეული იყო ერთობლივი პროექტი „პიონერფილმთან“.

სექტემბრიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან შემა-ობა დაიწყო მაია დათუნაშვილმა პროექტით „დედაქალაქი რევიონებს“.

გასული წლის ბოლოს ხარაგაულის კინოთეატრში მოეწყო ამ პროექტის პრეზენტაცია სახელწოდებით „მინდა ვიცოდე“.

ქალბატონ მაია დათუნაშვილის ყველა კარგად იცნობს როგორც ნიჭიერი მუსიკათმცოდნე და კულტუროლოგს, რომელსაც წლების მანძილზე არაჩვეულებრივად მიჰყავდა მუსიკალური გადაცემები. ბევრი ადამიანი მოხიბლულა მისი ტბილმოზიბარი თხრობითა და შესანიშნავი ქართული. მათ შორის მეც ერთ-ერთი თავყანისმცემელი ვარ ქალბატონი მაიას ნიჭიერებისა.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ეს მშვენიერი და ულამაზესი ქალბატონი ჩვენი რაიონის რძალია - მისი მეუღლე სოფელ ჩრდილიდანაა და ცოლ-ქმარი წლის უმეტეს დროს სწორედ ამ სოფელში ატარებენ.

ალბათ, ნიშანდობლივია, რომ

თავისი პროექტის პრეზენტაცია ქალბატონმა მაიამ ზვარეს საჯარო სკოლის (დირექტორი ნატო შათირიშვილი) მოსწავლეების ძალებით მოაწყო. თუმცა, რამდენიმე მოსწავლე ხარაგაულის №2 სკოლიდანაც მონაწილეობდა.

საღამოს წამყვანმა, ქალბატონმა მაიამ სცენაზე უხმო ოცდაათამდე მოსწავლეს და თითოეულ მათგანს ჰკითხა, - რისი ცოდნა სურთ. მოსწავლეებმა ამომწურავად და გონივრულად უპასუხეს შეკითხვებს ისტორიის, მუსიკის, კინოსა და ხელოვნების სხვადასხვა დარგიდან. მათ ღრმა ცოდნა გამოაჟღავნეს. კითხვა-პასუხი თვალსაჩინოების ფონზე მიმდინარეობდა, რაშიც მოსწავლეებს ოპერატორი დავით კვიციანიშვილი ეხმარებოდა. ეკრანზე გამჩენილ მოვლენებს მოსწავლეები გონივრულად ხსნიდნენ. საინტერესო იყო მათგან მონათხრობი, თუ როგორ ხვდებიან ახალ წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

საღამო გაალამაზა თბილისელი სტუმრის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა ქალბატონი მაიას აკომპანიმენტით. მათ შორის ერთი სიმღერა სტუმარმა ქალბატონ ირინე ჩხეიძისთან ერთად შეასრულა. ირინეს მიერ წაკითხულმა ლექსმა კიდევ უფრო მეტი ხიბლი შესძინა საღამოს.

ორი საათის განმავლობაში

ქალბატონმა მაიამ ხელოვნების სამყაროში გვამოგზაურა.

დასასრულს მაია დათუნაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რესურსცენტრის უფროს დავით კიკნაძეს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს მაია ბლუაშვილს, სამუსიკო სკოლის დირექტორს ლალი ალექსიძეს, ზვარეს საჯარო სკოლის დირექტორს ნატო შათირიშვილს და ყველას, ვინც თანადგომა, მხარდაჭერა და დახმარება გაუწია პროექტის განხორციელებაში. დარბაზს კიდევ ერთხელ შეასხენა, რომ ბავშვი ჭურჭელი კი არ არის, რომ აავსო, არამედ ჩირაღდანია და უნდა აანთო. ქალბატონმა მაია დათუნაშვილმა ძლიერად დაანთო ეს ჩირაღდანი ზვარეს სკოლაში.

მინდა მოკრძალებული რჩევა მივცე მშობლებს - ნუ გაუშვებთ ხელიდან ამ შანის, აზიარეთ თქვენი შვილები მაია დათუნაშვილის ხელოვნებას, რადგან მან კარგად იცის, რომ „ყმანვილი უნდა სწავლობდეს, საცნობლად თავისადა“.

სწორედ რომ განათლებული და წიგნიერი თაობა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას.

თამარ ბაჩინიძე

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი

მაიხარეს პატარებმა

საახალწლო ზეიმმა ხარაგაულის №2 საბავშვო ბავა-ბაღში (გამგე მაია მჭედლიძე) მოლოდინს გადააჭარბა. არაჩვეულებრივად მორთულ დარბაზში აგუბუბუბულ ბუხართან „შეიცოებულმა“ პატარებმა თინათ შავიძემ და ნინო შველიძემ ხელები გაიბრუნეს და ვახარებულებმა „მამამ შემა მოგვითხან“ სიმღერა შთამბეჭდავად შეასრულეს. მიუზიკლიდან - „ვერის უბნის მელოდები“ ცნობის ფურველი“ გაცოცხლეს ნინო ჩიკვაძემ და ლიზი ბანცაძემ. მალე დარბაზში ულამაზეს საკარნავალო კოსტუმებში გამოწყობილი თვალსაჩინო გოგო-ბიჭები გედებივით შემოქცნილდნენ. ვალის ჰანგებზე ფიფქისა და ბალერინების იმპროვიზაცია შემოგვთავაზეს.

თოვლის ბაბუას მოლოდინში პატარებმა უამრავი ლექსი, სიმღერა და ცეკვა წარმოგვიდგინეს. შორი გზიდან დაღლილი თოვლის ბაბუაც (ელზა ბანცაძე) ესტუმრათ. როგორც ყოველთვის, მან ეს როლი შეუდარებლად შეასრულა და პატარებთან ერთად დარბაზშიც გახიზარულა თავისი ცეკვა-სიმღერით. შემდეგ კი ბავშვებს სთხოვა, ეჩვენებინათ თავიანთი შემოქმედება. ბავშვებმაც არ დააყოვნეს და მხიარული შეხვედრა მოუწყვეს. ვის არ ნახავდით სცენაზე - „მგელს“, „მელაკუდას“, „ბაჭებს“, „სამ გოჭს“...

მარი ხარაძემ, დათო და ნინო შევლიძემ, და-ძმა ეჭობაძემ, დაჩი მესხმა, ომარი ბურჯანაძემ, გიორგი გიორგიძემ, ქრისტინა თაბუკაშვილმა, გიორგი ვეფხვაძემ, გიორგი დანელიამ, საბა ვლუწინაძემ, თამარ ლომსაძემ, თამარ მამულაშვილმა,

მაგდამ, ივორიმ, ხატამ, ალექსიმ, ყველამ თავი ძალიან მონაონეს თოვლის ბაბუას ლექსებითა და სიმღერებით. ბავშვების აღსაზრდელთა გალობით მოხიბლული თოვლის ბაბუა ალტაცებს ვერ მალავდა და ტაშით ამხნევებდა პატარებს. ბოლოს ბავშვებს საჩუქრები დაურიგა. დასასრულს მარი კაციაძემ ლოცვასავით წარმოთქვა:

სხალი ფული, იმადი ბიჭი, და მის ბავშვს შინაში თოვლს, სათქმელი, მიხილნი რამი საშობლო, ახმინაჲ ყველა, ყველა, მართალი.

აგსრულებოდეთ, ჩემო პატარებო, თქვენი ყველა ნატვრა. თქვენი გახარებისათვის ბევრი იმრომეს შედგავებმა, განსაკუთრებით - ნანა მალრამე. ზეიმის ორგანიზებაში მას დაეხმარნენ მაკა თაბუკაშვილი, ელზა ბანცაძე, ნათია გოგსაძე, ნათელა დალაქიშვილი, ნაილი გურგენიძე, შორენა კაკოიშვილი. აღსანიშნავია მუსიკის მანაველებელ თამარ ოსანაძის შრომა. იგი ყოველ ზეიმზე გვაოცებს თავისი მდიდარი მუსიკალური ფანტაზიით, სიახლეების ძიებითა და შრომისმოყვარეობით.

მინდა შობა-ახალი წელი მოველოო ხარაგაულის #2 საბავშვო ბავა-ბაღის კოლექტივის ქალბატონ მაია მჭედლიძის ხელმძღვანელობით და მათთან ერთად მუნიციპალიტეტის სკოლაში დიდი ალბრდის ყველა მუშაკს. სიხარული, სიყვარული, ბავშვთა სიმრავლე, ხვალი და ბარაქა ყოფილიყოს თქვენს ოჯახებში.

თამარ ბაჩინიძე

გილოცავთ!

სულითა და გულით ვულოცავ დამდეგ 2015 წელს ჩემს ყოფილ მოსწავლეებს, განსაკუთრებული მონდომებითა და ნიჭიერებით გამორჩეულ შეგირდებს, ახლა უკვე ცხოვრების ფართო გზაზე გამოსულ პიროვნებებს, სხადასხვა სფეროში დასაქმებულ, წარმატებულ ახალგაზრდებს: **ნიკო ხარატიშვილს, ქატიკან ლურსაბაშვილს, პარლამ ჭიკაშვილს, ნანა ბუნიაშვილს, დიმიტრი გვამბაყალიანს, ნათია ხმაცაძეს, ბიორგი და ბაბა ჭყორიძეს, თამარ ტყეშელაშვილს, ნათია მაღრაძეს, ნათია თაბუკაშვილს, თინათინ თაბუკაშვილს, ანა და ლევან გოლუბაძეებს, ნინო მღვინეაძეს, ანდრო შველიძეს, ირინე და ზინა მაჭარაშვილებს...**

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ახალი წელი, ჩემო ძვირფასებო თქვენი ოჯახებისათვის. არაერთხელ მომგვრია სიხარულის ცრემლი თქვენი წარმატებით გულაყურებულს. მუდამაყვებით, მიყვარხართ, შორიდან გეფერებებით!

სიმპარულით ნანა დავლარაძე



ვულოცავთ ოქროს დაბადების დღეს ჩვენი ცხოვრების აზრს, საყვარელ შეილიშვილს **სალომე ხაბისპირაძეს**. ექვსი წელი საუკუნედ გავრძელებოდეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ცხოვრებაში წარმატებებს. ღმერთს ვთხოვთ, მამის სახელზე სასახელით ვგოვ აღმრდილიყოს და დედისთვის დაჩაგრული გული გაეხარებინოს.

ბაბო ზორი გველუხიანი, ბაბუა ოთარ მაღრაძე, ძია ლავა

დიდი სიყვარულით ვულოცავთ ოქროს დაბადების დღეს პატარა **სალომე ხაბისპირაძეს**, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და უფლის მფარველობას თავის დედიკოსთან ერთად.

მარინა და აპთანდილ კვიციანიშვილები

გულწრფელად ვულოცავთ ღირსეულ პიროვნებას ბატონ **პალმარი გობინაძეს** მწერალთა კავშირის წევრად არჩევას. ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს.

მამაკანთა კავშირის გაფორმება

ვულოცავ **რუსიკო კუპრაძეს** შეილიშვილის, **დათო კუპრაძეს** და **თაბა კარაშვილს** - შეილიშვილის შექმნას. ვუსურვებ პატარა **ზურაბ ზაალიშვილს** ჯანმრთელობას, ღვთის უღებ წყალობას და საუკეთესო მომავალს.

კატიკანცხიტი, ბაჭალაშვილი მამორიძარი დავუტატი პარლამ ჭიკაშვილი

ვულოცავთ ქალბატონ **მარინე ხვედელიძეს** ხარაგაულის №3 საჯარო სკოლის დირექტორად არჩევას და ახალი 2015 წლის შენობიდან დასაწყისიდან ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და კიდევ არაერთ წარმატებას. ხვალი და ბარაქა არ მოკლებოდეს მის ლამაზ ოჯახს.

ხარაგაულის №3 საჯარო სკოლის აპოლოქსტივი და ტამპერსონალი

დაბადების დღეს ვულოცავთ დეკემბერში დაბადებულ ზვარის საჯარო სკოლის პედაგოგებს **ციხლა კიკნაძეს, ვლადიმერ ტალახაძეს, ქატიკან ალუაზიშვილს** და სკოლის ბუღალტერს **ლელა თიკანაშვილს**.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლას და წარმატებებს პირად და სამსახურებრივ საქმიანობაში.

ზვარის საჯარო სკოლის აპოლოქსტივი

მოლოთის საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელს **ციხლა ლავაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ უღებ სიხარულს, სიყვარულს და წარმატებებს სამოღვაწეო საქმიანობაში.

მოლოთის საჯარო სკოლის აპოლოქსტივი და ტამპერსონალი

რა მწყინს, რა მიხარია



დავით ჭყორიძე: -მწყინს, ადამიანებს ვითომ რომ უყვართ ერთმანეთი, ერთმანეთზე გული შეტკივან და ზურგს უკან პირიქით, - მათ მიმართ ძალიან ცუდად იქცევიან.

ადამიანები უნდა ვიყოთ ლაღები, სუფთები ერთმანეთთან, - ასე უფრო ადვილია ცხოვრება.

ძალიან მიხარია, რომ არაჩვეულებრივი თაობა მოდის, - განათლებულები, კულტურულები. არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან.

მიხარია ყველა ხარაგაულელის წარმატება ნებისმიერ სფეროში.



ნათუნა კაკიაშვილი: -მწყინს, სამსახურში ძალიან დატვირთული ადამიანების შრომა სათანადოდ არაა არის შეფასებული. სიცივეში, ქარსა და ყინვაში მუშაობენ რკინიგზელები, - არასამუშაო დღეებშიც, და ანაზღაურება არ აქვთ შრომის შესატყვისი. არაფერ ფიქრობს იმაზე, რომ რაღაცით გაუმჯობესონ მათ შრომები.

მწყინს, ამდენი უმუშევარი ადამიანი რომ დადის ქუჩაში. ბევრი ჩემი მეზობელი უმუშევარია. ოჯახებია, რომ არც ქმარი მუშაობს, არც ცალი და არანაირი შემოსავალი არ აქვთ. მიხარია, სოფელში რომ ბევრი პატარა ბავშვია. მათი ურთიერთი ყველანაირ ცუდს გავინწყებს.

საახალწლო გეიმი ხევეში

„არ შეგვაშინებს ყინვა და ზამთარი, თუ სიყვარულით გული გვაქვს გამთბარი,“ - ამ სიტყვებით დაიწყო ხევის საჯარო სკოლის პირველკლასელთა საახალწლო გეიმი. პირველკლასელებმა დიდი მონდომებითა და არტისტიკით შეასრულეს საყვარელი ზღაპრების პერსონაჟთა როლები. შესცივინებდნენ ხათუნა

მასწავლებელს, რომელიც არის უაღრესად თანამედროვე, სამართლიანი, უყვარს ბავშვები და შეუძლია ეს სიყვარული სხვასაც გადადოს. გეიმი საახალწლო სურვილებით დასრულდა. ბავშვებმა სანტასგან საახალწლო საჩუქრებიც მიიღეს.

აპოლოქსტივი მამორიძე

ხუმრობენ ხარაგაულელები გვიანობას იური ბუაჩიძე



ავტობუსში

კონია კინაძე მძღოლად მუშაობდა ავტობუსზე და მგზავრები გადაჰყავდა ხარაგაულიდან მესტაფონში. გავიდა თუ არა ძირულაში ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, ორმა კონტროლიორმა გააჩერა მგზავრებისთვის ბილეთების შესამოწმებლად.

ერთ ახალგაზრდა ქალბატონს სამგზავრო ბილეთი არ აღმოაჩნდა და კონიას ჰკითხეს, ეს ქალბატონი რატომ მგზავრობს უბილეთოდ.

კონია არ დაიბნა და უპასუხა, - ეგ ქალბატონი ჩემი ცოლია. ქალი გაბრაზდა და კონიას ლანძღვა დაუწყა, - შე გადაგვარებულო, გათახსირებულო და უნამუსო კაცო, ვინ არის შენი ცოლიო.

კონტროლიორებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს და ავტობუსი დატოვეს.



მეზობელთან

ზამთარია. თოვს. კონია მართა სახლში. ძალიან მოიწყინა და მეზობელთან გადავიდა. სანამ კაცები საუბრობდნენ, დიასახლისმა კასრიდან ამოიღო „ვიჩინა“, ჩადო წყლიან კარდალა ქვაბში და დასძინა, - ბატონო კონია, თქვენ მეტი პატივისცემა გეკუთვნით, მაგრამ წინილები პატარები არიან და ხელი არ მოევიდებათო.

კონიას გავიყინა და უთხრა, - შე ქალო, „სემიჩკას“ ვჭამ და „ნოუჟელი“ თქვენი წინილები „სემიჩკაზე“ პატარები არიანო!

მადლობა ყურადღებისათვის

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო, ლელვან-მარეღისის უბნის ინსპექტორს **ნოდარ მდინარაძეს** საახალწლოდ ჩემს მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის. ღმერთმა დალოცოს და გაახაროს თავის ოჯახთან ერთად. უფალი ფარავდეს.

შუშანა ტარასოვა

აბინდი

დ. ხარაგაული

- 16.01 - მოღრუბლელობა ნალექით, დღე +8°C, ღამე +6°C;
- 17.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა ნალექით, დღე +7°C, ღამე +5°C;
- 18.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +8°C, ღამე +4°C;
- 19.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +11°C, ღამე +6°C;
- 20.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +11°C, ღამე +6°C;
- 21.01 - მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +12°C, ღამე +5°C.

პიცხი

- 16.01 - მოღრუბლეობა ნალექით, დღე +7°C, ღამე +4°C;
- 17.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა ნალექით, დღე +5°C, ღამე +3°C;
- 18.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +7°C, ღამე +2°C;
- 19.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +10°C, ღამე +4°C;
- 20.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +10°C, ღამე +5°C;
- 21.01 - მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +10°C, ღამე +5°C.

გორიძი

- 16.01 - მოღრუბლეობა ნალექით, დღე +7°C, ღამე +4°C;
- 17.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა ნალექით, დღე +5°C, ღამე +2°C;
- 18.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +6°C, ღამე +1°C;
- 19.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +8°C, ღამე +3°C;
- 20.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +9°C, ღამე +4°C;
- 21.01 - მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +10°C, ღამე +4°C.

მოლოთი

- 16.01 - მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +5°C, ღამე +2°C;
- 17.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +3°C, ღამე 0°C;
- 18.01 - შხიანი დარი, დღე +5°C, ღამე -1°C;
- 19.01 - შხიანი დარი, დღე +7°C, ღამე -1°C;
- 20.01 - ცვალებადი მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +7°C, ღამე +2°C;
- 21.01 - მოღრუბლეობა უნალექოდ, დღე +6°C, ღამე +2°C.

გიფხვეთი სასწავლებლად

დაბა ხარაგაულსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდებს გინვეთ სახარატო საქმის შემსწავლელ კურსებზე ქ. რუსთავეში.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ფართით, კვებით, სტიპენდია 100 ლარი.

სწავლის ხანგრძლივობა 4 თვე. კურსების დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები დასაქმდებიან სოფელ ბაზალეთში მშენებარე მექანიკურ სამუშაოში. შეირჩევა სამი ახალგაზრდა.

განცხადებები შევიძლიათ წარადგინოთ 25 იანვრამდე.

დავაკავშირდით ტელეფონით - 551 400 716.

გამოცხადებულია ვაკანსია

სარგვეშის საჯარო სკოლაში არის მასწავლებლის ვაკანსია ინგლისურ ენაში (22 საათი). მსურველები გამოგვეხამურეთ ტელეფონით 577 977 490 - დავით ლურსმანაშვილი.

იყიდება

იყიდება 2 ოთახიანი ბინა, ბუნებრივი აირით, ხარაგაულში, მისამართზე - სოლომონ მეფის ქ. №56, მე-3 სართული, კარგი ხედით, 2 ავტოფარეხით, სარდაფით. ეზოში არის ადგილი მცირე ნაგებობისათვის. ტელ: 577 77 45 25 (მარინა).

მთავარი რედაქტორი ლაურა გომოლაძე
593 900 501

რედაქტორის მოადგილე ნინო კაკანაძე
593 35 65 80

თამთა გომოლაძე
555 57 45 78

დიზაინერი შოთა ლომიძე
557 10 20 47
shotiko@lomidze.info

რედაქციის წევრები:
სოფო ფერაძე, ანი ჭიკაშვილი, სალომე ბუნიკაშვილი, გიორგი ლომიძე, ნინო ბლიაძე, ნინო მჭედლიძე, მარიამ მაქაძე, ანა გოლუბანი, ნინო ქველიაშვილი, გვანცა ლომიძე, თიკო ლურსმანაშვილი, ხვიჩა ჭყორიძე

მის.: ხარაგაული, სოლომონ მეფის №59
ტელ.: 0 433 22 16 27
593 900 501
gogoladze.laura@gmail.com
გაზეთი რეგისტრ. №47/5-ბ-12